შაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 30 № 231
წლიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 30 № 231
ფასი ტფილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

გერმანიაში დაჟინებით მოითხოვენ ეროვნულ ყრილობის მოწვევას, სოციალისტურ რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლის დასამყარებლად.

ცენტრალ პარტიათა ხელმძღვანელებმა მოწოდებით მიჰმართეს თანამოაზრეთ, მიიღონ ზომები დასაჩქარებლად საბოლოო ზავისა, რომელიც ვილსონის მე 14 მუხლზე იქნება დაფუძნებული.

გერმანიის კომისიის მეთაურის ფიან-ვინტერფელდტის მიერ საზავო კომისიაში 23 გიორგობისთვეს გამოთქმულ პროტესტზე ფრანგულ კომისიის მეთაურმა უპასუხა: „არავითარი პასუხი“.

მოკავშირეებს გადუწყვეტიათ, სანამ მათი ჯარი უკრაინაში შევიდოდეს, მანამ მთელ მხარეს გეთმანი განაგებდეს.

ინგლისელები მოუწოდებენ რუსეთის მოსახლეობას ბოლშევიკთა ხელმწიფეობის წინააღმდეგ.

გერმანულ მთავარბანაკის ყოფილი უფროსი ლიუდენდორფი ქკვაზე შემცდარა.

მოხალისეთა ლაშქარი ქ. ქერჩში შევიდა.

ბოლშევიკები სასტიკ მუქარას უგზავნიან უკრაინას.

ნიჟეგოროდის ხაზინიდან 18 მილიონი გაიტაცეს.

თბილისში ჩამოსულ ინგლისის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა გენ. მაიორმა მაკდონალდმა გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ინახულა.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბარბარე ივანეს ასული, შვილები ნატალია, ნინო და ელენე; ძმა ივანე გაბრიელის ძე ზანდუკელი, დები ბარბარე და ქეთევან; ცოლის ძმები: გიორგი და ვასილი ივანეს ძენი კობიაშვილები; ცოლის დები: დარია, სალომე, ნინო და ანნა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

იოსებ (სოსო) გაბრიელის ძის

ზანდუკელისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე. დაკრძალვა 1 ქრისტეშობისთვეს, კვირას წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება 10 საათზე დიდუბის ეკლესიაში (ბათუმის ქ. № 18). (1—1)

კვირას, 1 ქრისტეშობისთვეს

ლევან გიორგის ძე წერეთლის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე ღემოლონი, ანასტასია თუმანიშვილი—წერეთლისა და ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები.
წირვის დასაწყისი 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე.
(2—1901—1).

კვირას, პირველ ქრისტეშობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ (კოლა) ივანეს ძე

თაქთაქიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის მშობლები: ელისაბედ ალექსანდრეს ასული და ივანე იასეს ძე თაქთაქიშვილები, ქვრივი ნინო ივანეს ასული შვილებით, ძმები: იასე და მიხეილი ცოლ-შვილით, დები: კატო და ნინო თაქთაქიშვილები და სოფიო ფავლენიშვილისა ქმარ შვილით. წირვა დილის ათ საათზე, პანაშვიდი თორმეტ საათზე.
(1 1900—1).

მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ ს. ახალქალაქში გარდაიცვალა

თამარ ალექსანდრეს ასული

თარხან-მოურავისა

რასაც აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა დედა მისი თინათინ დავითის ასული კეზელისა, ძმა იოსებ ალექსანდრეს ძე კეზელი და დაი მარიამ ალექსანდრეს ასული კეზელისა. დაკრძალვა 1 ქრისტეშობისთვეს, კვირას დილით 11 საათზე. (2—1899—2)

გერმანელ-კავკასიური

სავაჭრო ბანკი

გოლოვინის პროსპ. არამიანცის სახლი № 17.

იწყებს მოქმედებას

30 გიორგობისთვეს

ბანკი აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს წესდების თანახმად.

2—1

მოქალაქენო!

დავუმტკიცოთ ურწმუნოებს, რომ რაკი საჭიროება მოითხოვს

საქართველო შესძლებს

მისი უნივერსიტეტისა და თეატრისათვის

ხუთი მილიონი

შეაგროვოს.

სულ უკელაფერში ნუ დავაწვებით ხაზინას!

მაშ გავეშუროთ და ყველამ, დიდმა და პატარამ, სადაც კი გამოცხადებულია, შევიძინოთ ქართული ლატარიის ბილეთები.

თუ ჩვენ ვისურვებთ, ერთსულოვნად მოვინდომებთ ჩრეულს, შობამდე შევძლებთ ამ თანხის მოგროვებას.

(3—67—3).

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

შაბათს, 30 გიორგობისთვეს ტ. ი. საზანეევას, ტ. ორდას, პ. ზალიპსკის და ისეცკას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

რიგოლეტო

ფასები შესამჩნევად დაწეულია. ✦ დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზ.

კვირას, 31 გიორგობისთვეს, დილით „ჯამბაზები“ და „ქორწილი უკრაინაში“, საღამოთი ალეშკოს, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით „დუბროვსკი“.

სამშაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს შულგინას, ზალიპსკის, ვრონსკის მონაწილეობით: „ქ. ბატერფლეი“ და „ცხენოსან ჯარის დაბანაკება“.

ოთხშაბათს, 4 ქრისტეშობისთვეს ვ. ა. ნიკოლსკის სასცენო მოღვაწეობის 10 წლის აღსანიშნავად: I. „მოცარტი და სალიერი“, II. „სევილიელი დალაქი“ საზანეევას, ზალიპსკის და პოლიაევას მონაწილეობით.

კვირას, ქრისტეშობისთვის 1-ლს სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ., 6). საღამოს 5 საათზე შედგება

ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა საერთო კრება

მოხსენებას წაიკითხავს მთავარ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი. 3—2

## საქართველოს მტერთა ცრუ იმედები

იმ დღიდან, როდესაც ომის ბედი აშკარად მოკავშირე სახელმწიფოებისაკენ გადიხარა და ბოლოს მათი ძლევამოსილებითაც დამთავრდა, საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებმა მეტის სიმხნევით იწყეს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედება და ალარმისტული ხმების გავრცელებით ცდილობენ მშვიდობიან მცხოვრებთა სასოწარკვეთილებაში ჩაყენებას.

ცენტრალურ ევროპის კოალიციის კაპიტულიაციაში ჰსურთ ამოიკითხონ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსასრულიც, მიუხედავად იმისა, რომ პირუთვნელი ახლო წარსული ისტორია ამოწმებს, რომ ქართველი ხალხის ერთსულოვან და ბეჯით ცდას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განთავისუფლებისათვის არავითარი კავშირი არ ჰქონდა მსოფლიო ომის მიმდინარეობასთან.

ქართველი ერი სრულიად შეგნებულად და მომავლისადმი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დაადგა თვითგამორკვევის გზას იმ იმედით, რომ განთავისუფლების აქტი კულტურულ კაცობრიობაში მხოლოდ თანაგრძნობას გამოიწვევდა!

ყოფილ რუსეთის იმპერიის პროვინციათა შორის საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით მისი მდგომარეობა უნდა სამართლიანად ჩათვლილიყო უფლებისა და კანონების შელახვად. ყველასაგან ცნობილია დღეს, როგორ უდიერად და ბარბაროსულად მოეპყრა თვითმპყრობელი რუსეთი საქართველოსა და მის შორის დადებულ მეგობრულს ხელშეკრულებას, სადაც ნათლად და კატეგორიულად განისაზღვრებოდა ორივე სახელმწიფოს ურთიერთი დამოკიდებულება, უფლება და ვალდებულება.

რუსეთმა ფეხქვეშ გასთელა საქართველოს უდავო უფლებანი: ჩვენი სამშობლო ასიცი წლის განმავლობაში სისტემატიურად იძარცვებოდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით! ერთად ერთი მოვალეობა 1783 წლის ტრაქტატიდან გამომდინარე, რომელსაც რუსეთის იმპერია არ ჰღალატობდა, იყო საზღვრების დაცვა და მას რუსეთი მართლაც პირნათლად ასრულებდა. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი ხელშეკრულების შესრულებაზე კი არ ჰფიქრობდა,—მას თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესი ამოქმედებდა.

ქართველი ხალხი წართმეულ დამოუკიდებლობის დაბრუნებაზე მუდამ ჟამს ზრუნავდა, ხოლო თანაბრად ერიდებოდა სახელმწიფოებრიობა არა ლეგალური საშუალებით აღდგინა. მაგრამ როდესაც სულ ბოლო დროს ახლა უკვე „რევოლუციურმა“ რუსეთმა ხელშეკრულების უკანასკნელი დაურღვეველი მუხლიც ნიავს გაატანა და მცირე რიცხვოვანი ერი ოსმალეთის მოზღვავებულ ურდოებს ჩანსათქმელად განუმზადა, როდესაც გამარჯვებული მტერი, რუსეთისაგან ნაჩუქარ ბათუმსა და არტაანში გამაგრებული, ჰლამობდა დასავლეთ საქართველოს დაპყრობასა და აწიოკებას, როდესაც საქართველოს მიწა-წყალს ერთის მხრივ შემოჰრილი განრისხებული მტრის ლაშქარი არბევდა და მეორე მხრივ მას მიწასთან გასწორებას უპირებდნენ ჩრდილოეთისკენ მიმავალი ბოლშევიკური ეშელონები,—ამ დროს საქართველოც „განუდგა“ მოღალატე მოკავშირეს!

საქართველოს სუვერენიტეტი განათლებულ სახელმწიფოთაგან შეწყნარებულია დიდი ხანია! ეჭვი არ არის, ჩვენს ქვეყანასაც ჰგულისხმობდა პარიზის კონგრესსი, როდესაც რუსეთის იმპერიას მხოლოდ ლეგალურად შეძენილ კუთხეებს არგუნებდა.

საქართველოს გერმანიასთან შეკავშირებაში ბევრი ცდილობს ინგლის-საფრანგეთის საწინააღმდეგო აქტი აღმოაჩინოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ დაუზოგველი მოღალატე და პროვოკატორი მიაწერს ასეთ საზიზღრობას ქართველობას, რომლის სახელი ისტორიაში აროდეს ყოფილა წაბილწული.

ოსმალეთის განადგურებისაგან საქართველო უნდა ვისმეს ეხსნა. საჭირო იყო ძლიერი სახელმწიფოს დახმარება, რომ შემოჭრილი ოსმალები გაჩერებულიყვნენ. გერმანიამ შესძლო მტრის უკუქცევა და საქართველო თვის მფარველობის ქვეშ გამოაცხადა. არც მეტი, არც ნაკლები. გერმანიის ჯარის შემოსვლამ ჩვენს ერს საშუალება მისცა დამოუკიდებელ სახელმწიფოში წესიერებისა და უფლებრივ ნორმების განმტკიცებისა.

საქართველოს მართებლობამ უალრესის მადლობით მიიღო გერმანიის დახმარება, მაგრამ იმ თავითვე შეეცადა საკუთარი სახელმწიფო პოლიტიკა ეწარმოებინა, ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებისაგან ნაკარნახევი: დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე დღეს საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა უდიდესი მნიშვნელობის აქტი და სამუდამო ნეიტრალიტეტის გამოცხადებით კეთილმეზობლური განწყობილება აღუთქვა მეგობრობის მოსურნე სახელმწიფოებს...

ახალი ძალის შემოსვლას საქართველო გულის სიმშვიდით შეჰხვდა. ინგლისის სახელმწიფო და საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიცია იმის საწინდარია, რომ უსამართლობას ადგილი არ ექნება ამ შემთხვევაშიც. ქართველი ერის პოლიტიკური ნაბიჯები უფლებრივ ნორმებით განისაზღვრება: ჯურღმულებიდან გამომძვრალი მტრის სისინი და მაბეზღრობა მისთვის სასურველ ეფექტს ვერ მოახდენს და, ჩვენის ღრმა რწმენით, კავკასიონის ქედის გადმოღმა არ დამყარდება მათი ბატონობა, ვისაც მოუთმენლად ელიან საქართველოს თვითმყოფობის მოწინააღმდეგენი.

მტერი დაუცხრომლად მუშაობს რესტავრაციის მისაგებებლად, მაგრამ ამაოა მისი იმედი! საქართველოს მთავრობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მოკავშირე სახელმწიფო ძალები მტრული განზრახვით არ შემოსულან ჩვენს ტერიტორიაზე.

ამაში ქართველი ერი დარწმუნებული იყო ისედაც.

რ. ინგილო.

## პრესსა

### ტფილისის პრესსა გენ. ტომსონის მოწოდებაზე.

„ერთობა“

ინგლისელმა გენერალმა ტომსონმა ქ. ბაქოში გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც აღნიშნულია ის მიზანი, რომლის განხორციელებასაც ცდილობს ინგლისის მთავრობა. გაზეთი „ერთობა“ სწერს:

გენერ. ტომსონი აცხადებს, რომ ბაქოში შემოსულ ინგლისის ჯარს მიზნათ არა აქვს არც დაპყრობა, არც ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა, რომ მისი მიზანია „საზოგადოებრივ წესიერების და მშვიდობიანობის დამყარება,“ რომ იმ ქვეყანაში, სადაც იგი შემოდის, „მოკავშირეთ განზრახვა არა აქვთ თითონ შეინარჩუნონ თუნდაც ერთი ბიჯი რუსეთის ტერიტორიისა;“ ისგლისის

ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 27 ნოემბერს, საღამოს 5 ს., ლანჩხუთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა იმავე საზოგადოების ბუხჰალტერი

ლონგინოზ ანდრიას ძე გვარჯალაძე

დაკრძალვა 30 ნოემბერს ნაშუადღევის ორ საათზე იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში.

ჯარის უფროსი გვპირდება, რომ იგი „სრულიად თანასწორათ მოეპყრობა ყველა ერებს და ყველა სარწმუნოებებს.“

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც გამოხატულია გენ. ტომსონის განკარგულებებში, თუ ის გატარდა სათანადო პირდაპირობით, უკვე შეიცავს ინგლისის ჯარის ჩარევას კავკასიის შინაურ საქმეებში და უკვე არღვევს იმ „თანასწორათ მოპყრობას,“ რომელსაც სიტყვით გვპირდება გენ. ტომსონი. მთავარი მიზანი, რომელიც დაუსახავს ბაქოში შემოსულ ინგლისის ჯარს, ამნაირათ არის გამოხატული გენ. ტომსონის ერთს მოწოდებაში:

„ბრწყინვალე გამარჯვების ჟამს ჩვენ არ დავივიწყებთ იმ დიდ დახმარებას, რომელიც რუსის ხალხმა გაუწია მოკავშირეთა საქმეს მსოფლიო ომის პირველ წლებში. მოკავშირეთ არ შეუძლიანთ სახლში დაბრუნდენ, სანამ რუსეთში არ აღადგენენ წესიერებას და მას არ შეაძლებინებენ დაიჭიროს თავის შესაფერი ადგილი ქვეყნის სხვა ერთა რიგში.“

ასეთია მთავარი მიზანი, და როგორც პროკლამაციების ზოგიერთ ადგილიდან სჩანს, ამ თვალსაზრისით უცქერის ღენ. ტომსონი კავკასიის საქმეებსაც. იგი თვალებზე ხელ იფარებს და არ უნდა დაინახოს ის ფაქტი, რომ რუსეთის დანაწილების შემდეგ მის ყოფილ ტერიტორიაზე დაარსდა მრავალი სახელმწიფო, რომ ზოგიერთ ამ სახელმწიფოს დაარსება აშკარა შედეგი იყო მოკავშირეთა დეკლარაციებში ხშირათ აღიარებულ „ერის თვითგამორკვევისა“. ღენ. ტომსონს არ უნდა დაინახოს ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა კერძოთ კავკასიის სინამდვილეში რუსეთის რევოლუციის დასაწყისიდან. მისი პროკლამაციების ტექსტი ამტკიცებს, რომ იგი ჯერ კიდევ „რუსეთის ტერიტორიათ“ სთვლის იმ რესპუბლიკების ტერიტორიას, რომლებიც კავკასიაში დაარსდა. „მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის მიზანია დაამყაროს საზოგადოებრივი წესიერება რუსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოთავსებულია შავსა და კასპიის ზღვებს შუა“.

რას ნიშნავს ეს სიტყვები? წარმოადგენს, თუ არა, ეს ჩვენის ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას? „საზოგადოებრივი წესიერება“ საქართველოს რესპუბლიკაში დაცული იყო ისე, როგორც არსად მთელ რუსეთში. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა არ საჭიროებს არავითარს დახმარებას ინგლისის ჯარის მხრით. და თუ ინგლისის ჯარმა მაინც მოინდომა ჩვენს საქმეებში ჩარევა, ყოველ შემთხვევაში, ეს ძალათ მაცხონეობა დახმარებათ ვერ ჩაითვლება.

გენ. ტომსონის ერთ მოწოდებიდან სჩანს, რომ მას არც ის მოსწონს, რომ კავკასიაში დაარსებულმა სახელმწიფოებმა რესპუბლიკანური ფორმა აირჩიეს. ეს სახელმწიფოებრივი ფორმა, მისი აზრით, ხელოვნურად არის შექმნილი გერმანიისა და ოსმალეთის ჯარების მიერ: ეს ჯარები „მხარს უჭერდნენ რესპუბლიკანურ მისწრაფებათ და ამით თავიანთ საკუთარ მიზნებს ანხორციელებდნენ“, ნათქვამია გენ. ტომსონის პროკლამაციაში.

ჩვენი ვალია გადაჭრით გამოვუცხადოთ ინგლისის გენერალს, რომ ჩვენი სახელმწიფოს რესპუბლიკანური ფორმა ჩვენი ხალხის მიერ თავისუფლათ და ერთსულოვნად არის ამორჩეული, რომ ბრ არის ძალდატანების ნაყოფი,—პირიქით, თუ კი რაიმე გარეშე გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს გავლენა რესპუბლიკანურ წესის წინააღმდეგ იყო მიმართული და არა მის სასარგებლოთ. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ მოკავშირეთა სახელმწიფონი, რომ რესპუბლიკა მიგვაჩნია ჩვენ ერთად-ერთ მისაღებ სახელმწიფოებრივ ფორმად და, ვინც მოისურვებს მოგვახვიოს სხვა რამ სახელმწიფოებრივი წესი, იგი ჩაიდენს აშკარა ძალადობას ჩვენი ხალხის მიმართ.

გენერალი ტომსონი უცხადებს კავკასიის ხალხს, „ჩემ მიერ გამოცემული ბრძანებანი რაც შეიძლება ნაკლებ შეავიწროებს მცხოვრებთო“. თუ მას ჰსურს საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებლებმა ინგლისის ჯარის მოქმედება არ მიიჩნიონ ძალადობათ, შევიწროვებათ და თავის უფლებების ფეხქვეშ გათელვათ იგი არ უნდა წავიდეს იმის წინააღმდეგ, რაც ერის სურვილს შეადგენს, არ უნდა შეეხოს არც იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ერმა აღიარა „თვითგამორკვევის“ უფლების ძალით, არც იმ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც ერმა აირჩია თავისუფლად და ერთსულოვნად.

ყველაფერი ეს მტკიცედ უნდა ეცნობოს კავკასიაში შემოსულ მოკავშირეთა ჯარებს და მათ მთავრობებს. ეს უნდა ეცნობოს მოკავშირეთა სახელმწიფოებს დემოკრატიას, რომელთანაც ჩვენ სულიერად დაკავშირებულნი ვართ.

„გრუზია“.

ამავე საკითხს ეხება გაზეთი „გრუზია“.

„ერთი მხრივ, ამბობს გაზეთი—გენერალი ტომსონი თავის პროკლამაციაში კავკასიის ტერიტორიას ეძახის „რუსეთისას“, მეორე მხრივ, ამბობს, რომ, უკანასკნელ გადაწყვეტილებას საზავო კონფერენცია მიიღებსო, რომელიც გადასწყვეტს ყველა საკითხებს, რომელიც ეხება ამ ტერიტორიასო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოკავშირეები და მით უმეტეს, მათი გენერლები ვერ გრძნობენ თავს პასუხისმგებლად, რომ მიიღონ რაიმე გადამწყვეტი დირექტივები, რომელთაც შეუძლიანთ მომავალში შებორკოს მათი მოქმედება და ჯერ-ჯერობით სდგანან ძველი ფორმალობის ხაზზე. მართლაც შეუძლებელია, იმათ მოვთხოვოთ რომ მათ ეხლავე დააკანონონ და იცნონ ყველა სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომელნიც ყოფილ „რუსეთის ტერიტორიაზე“ დაარსდენ.

ახალი სახელმწიფოს მიღება—ძალიან სერიოზული საკითხია, რომელიც მოითხოვს ყურადღებით და ყოველმხრივ შესწორდეს და პირველ ყოვლისა თვითონ ამ სახელმწიფოს საკუთარ სასიცოცხლო ნიჭის გაგებას.

განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან მოკავშირეები, იმაში რომ თავიანთი ფინანსიური განწყობილება ძველ რუსსთან გადაიტანონ ახალ სახელმწიფოებთან, რომ ამ სახელმწიფოებში შეიქნას სამოქალაქო უფლების წესრიგი და პიროვნების და ქონების დაცვა.

მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია იფიქროს, რომ იქნეს ცნობილი ახლობელ დროში.

რაც შეეხება საქართველოს კერძოთ, ის პრინციპიალურათ არავის საწინააღმდეგოთ არ არის განწყობილი, მან უკვე განაცხადა თავის ნეიტრალიტეტი, მაგრამ როგორც ჰაერი მისთვის საჭიროა დამოუკიდებლობა, საჭიროა ამის განმტკიცება ევროპის და ამერიკის საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელათ მომავალ საზავო კონფერენციაზე.

# მთავრობის წრეებში

## იუსტიციის სამინისტრო

**მომრიგებელ - მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოების პროექტი.**

იუსტიციის სამინისტრომ ხელმეორედ წარუდგინა მთავრობის საქმეთა სამმართველოს სათანადო მსვლელობის მისაცემად კანონპროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოებისა იმ შესწორების მიხედვით გადამუშავებული, რომელთა შეტანა კანონპროექტში საჭიროდ დაინახა რესპუბლიკის მთავრობამ კანონპროექტის პირველად განხილვის დროს. ახალ პროექტით, მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობა თვალსაჩინოდ არის გადიდებული: მაგალითად, სამოქალაქო საქმეებში მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია 10000 მანეთის საჩივრის განხილვით განისაზღვრება.

**საპყრობილეებში მოსამსახურეებისთვის ჯამაგირების მომატება.**

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა რესპუბლიკის მთავრობას მოხსენება საპყრობილეთა ადმინისტრაციის პირთათვის და ქუთაისის გუბერნიის საპყრობილეთა სადარაჯო რაზმის ჯამაგირების მომატების შესახებ (თბილისის გუბერნიაში სადარაჯო რაზმის ჯამაგირი უკვე გადიდებულია). ახალი ჯამაგირები, წარდგენილ მოხსენების მიხედვით, სხვა და სხვაა, სხვა და სხვა ადგილებში, მეტია დიდ ქალაქებში. სამინისტრო შუამდგომლობს ახალ შტატების დაკანონებას გიორგობისთვის 1-ღან.

**სოხუმის ოლქში სასამართლო დაწესებულებათა მოწყობისათვის**

სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ დაწვრილებითი მოხსენება წარმოუდგინა იუსტიციის მინისტრ სოხუმის ოლქში სასამართლო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ.

**მ. პ. გაკელის სამსახურიდან გადადგომა**

თბილისის ოლქის საპატიო მომრიგებელმა მოსამართლემ მ. პ. გაკელმა შუამდგომლობა აღძრა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

**მოხელეთა სამსახურში წესიერად გამოცხადებისათვის**

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა სასამართლოს დაწესებულებათა უფროსებს, რათა მათ სასტიკი თვალყური ადევნონ თანამდებობის პირთა მიერ სამსახურში დროზე გამოცხადებას. კერძოდ, ახლად დანიშნულ მოხელეთა შესახებ სამინისტროს უნდა სასწრაფოდ წარმოუდგინოს მოხსენება, ვინ გამოცხადდა დაგვიანებით ახალ თანამდებობის აღსრულებაზე, ვინ არ გამოცხადდა დღემდე ან რა მიზეზების გამო.

**სასამართლო და ადმინისტრაცია.**

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს და საპროკურორო ნაწილს, რათა სამინისტროს სასწრაფოდ წარუდგინოს ცნობები იმის შესახებ, რამდენად აფერხებდა და აფერხებს სასამართლო დაწესებულებათა წესიერ საქმიანობას ადმინისტრაციის ჯეროვნად მოუწყობლობა. ადმინისტრაციის მოხელეთა უმოქმედობა, მათ მიერ სასამართლოს მოხელეთა და დაწესებულებათა კანონიერ მოთხოვნილებათა აუსრულებლობა გამოძიების პროცესში და სასამართლოში (ორსავ ინსტანციაში) საქმის გარჩევის დროს (უწყებების ჩაუბარებლობა, სასამართლოში გამოუცხადებლობა და სხვ.).

**სასამართლო დაწესებულებათა კანცელარიების გაეროვნებისათვის.**

სამინისტრომ განუმარტა თავის ხელქვეით დაწესებულებათ, რომ სამინისტროსთან ქართულად მიწერ-მოწერა ჰგულისხმობს ქართულად შედგენას არა მარტო სამინისტროსადმი მიმართულ ქაღალდებისას, არამედ მათთვის დართულ ყოველგვარ ცნობებისაც.

**სასამართლო უწყება და სახელმწიფო კონტროლი.**

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ყველა თავის ხელქვეით დაწესებულებათ ერთის კვირის განმავლობაში წარუდგინონ სახელმწიფო კონტროლის უწყების 1918 წლის განმავლობაში გაწეულ ყველა ხარჯების ანგარიში.

**საპყრობილეთა ნაწილის რევიზია.**

იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა სახელმწიფო კონტროლიორს საპყრობილეთა ნაწილის რევიზიის მოხდენა.

**ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.**

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გამოძიება, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრი მ. ალექსი მესხიშვილი, დასრულდა და გადაეცემა საგანგებო სასამართლოს.

**საგანგებო სასამართლო სოხუმში**

იუსტიციის სასამართლომ პარლამენტის მავთულით სთხოვა მთავრობის წარმომადგენელს სოხუმში ის რამიშვილს ადგილობრივ სასამართლო დაწესებულებასთან შეთანხმებით წარმოადგინოს სია საგანგებო სასამართლოს წევრთა და საბრალმდებლო ნაწილისა.

**სასამართლო გამომძიებლების დანიშვნა ქუთაისში**

იუსტიციის მინისტრმა დეპეშით მოსთხოვა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ხსენებულ სასამართლოს ოლქის რაიონში სასამართლოს გამომძიებელთა თანამდებობაზე განწესებულ კანდიდატების სია.

## ინგლისის სამხ. მისიის წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრთან

თბილისში ჩამოსულ ინგლისის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა მაიორმა მაკდონალდმა გუშინ ინახულა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და ხანგრძლივი საუბარი იქონია.

# ქრონიკა

**ჩვენ პარტიაში.** ჩვენი პარტიის წევრთა საერთო კრება, რომელიც კვირას უნდა მომხდარიყო ქართულ კლუბში, ამ დღისათვის დანიშნულ პარლამენტის საზეიმო სხდომის გამო, შემდეგი დროისათვის გადაიდო.

— კვირას, საღამოს 5 საათზე, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა) შესდგება ახალგაზრდათა ერ.-დემოკრატების საერთო კრება მოხსენებით.

**8 საათის სამუშაო დღე რკინის გზებზე.** შრომის სამინისტროსთან არსდება მისია რომელშიც შევლენ სამინისტროთა წარმომადგენლები. 2 წარმომადგენელი რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალ კავშირისაგან და ორიც საქართველოს რკინის გზის გამგეობისა. კომისია შეიმუშავებს რკინის გზებზე 8 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხს.

**მიწად-მოქმედების სამინისტროს შუშა.** მიწად-მოქმედების სამინისტრო სთხოვს გზათა სამინისტროს განკარგულება გასცენ, რათა ის შუშა რომელიც ქალაქის თვითმართველობამ თავის ნებით წამოიღო მე-300-ე ვერსიდან თბილისის სადგურზე და რომელიც მიწადმოქმედების მინისტრს ეკუთვნოდა, მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულს კახელაძეს გადაეცეს.

**ლტოლვილთათვის.** მოძრაობის უფროსმა მაჭავარიანმა დეპეშით სთხოვა გზათა სამინისტროს გაგზავნოს საგარეჯოში მყოფ ჯავახელ ლტოლვილთათვის საგარეჯოდან ბადიაურში გადასაყვანად 28 დახურული და 2 ღია ვაგონი. საგარეჯოში ეს ლტოლვილები უკვე მომზადებული არიან წასასვლელად.

**პრესის გაფრთხილება.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა მიიღოს ზომები, რომ აზერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელზე ცილის დამწამებელი ცნობები, როგორიც იყო „კავკაზსკოე სლოვო“-ში „აზხატავორი“-დან ამოღებული წერილი „სიბულტი“-ს „ადერბეიჯანის დემოკრატიის ჯალათი“-ს მეთაურით—შემდეგში არ იბეჭდებოდეს.

**ასკერების თავგასულობა.** ნატანებიდან სადგურის უფროსი დეპეშით ატყობინებს გენერალ-გუბერნატორს, რომ ოსმალთა ასკერებმა სადგურზე უწყსოება მოახდინეს. არ დაგვაცალეს მატარებლების შესახებ ცნობები შეგვეგროვებინა, მოგვთხოვეს დაუყონებლივ გაგვეგზავნაო. მე შევეცადე საქმე მშვიდობით მომეგვარებინა მაგრამ მათ მუქარით მომმართეს და ძალით გაემგზავრენ.

**ქუთაისის მაზრის სახ. გვარდია.** ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბმა მოწოდება გამოსცა, რომლითაც მოითხოვს იარაღის ჩაბარებას. შტაბი მოწმობას კანონიერად იცნობს თუ იგი გაცემულია მილიციიდან და ყველა იმ დაწესებულებებიდან, რომელნიც პირდაპირ შედიან სახელმწიფო ადმინისტრატიულ აპარატში.

**შუშა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიღებულ იქნეს ა. მადათოვის და ლ. კიკნაძის პირობები ქალაქში 1500 კუბ. საჟ. შეშის ჩამოტანაზე და სასურსათო განყოფილებას ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. მიანდო შეშის პირველი პარტია გასასყიდად თბილისში 1 იანვრამდე უნდა ჩამოიტანონ.

**ტყვეების ჩამოსვლა ავსტრო-უნგრეთიდან.** ხუთშაბათს 28 გიორგობისთვეს თბილისში ტყვეების მეორე ჯგუფი ჩამოვიდა 1000 კაცამდე. მათ შორის უმეტესობა ქართველობაა. როგორც გადმოგვცეს, ოდესამდე 2500 კაცი მოდიოდა იქიდან კი სომხები და რუსები როსტოვისაკენ გაემგზავრენ.

**პანაშვიდი.** გუშინ პოლონელების ეკლესიაში 1830 წელს დახოცილ პოლონელთა პანაშვიდი გადიხადეს, პანაშვიდს დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელნი და დიპლომატიური წარმომადგენელნი.

**ერობის ხმოსანთა კრება.** 2 ქრისტეშობისთვეს დილის 10 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში თბილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა კრება შესდგება. კრების საგანია სხვა და სხვა საორგაიზაციო საკითხები.

**დაჭრა.** 27 გიორგობისთვეს სურპ-კარსაკოვის ქუჩაზე, რევოლვერის ტყვიით ალექსანდრე კარპოვი დასჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

**გენერალ წულუკიძის დეპეშა.** გენერალი წულუკიძე სანაინიდან გზათა მინისტრს ატყობინებს, რომ იქ მთებში ჩამოსთოვა და ძლიერი სიცივეები დაიწყო, მიუხედავად ამისა მათ არააქვთ არც შეშა და არც თბილი ჩასაცმელი. გენერალი სთხოვს მას დააჩქაროს შეშისა და თბილი საცმელების დაგზავნა.

**ბიჩერახოვის შეწირულება.** ბიჩერახოვს ბაქოში განადგურებულ სომხების სასარგებლოდ 10 მილიონი მ. შეუწირია.

**საზ. მოღვაწეთა განთავისუფლება.** როგორც ბაქოდან ჩამოსულნი გადმოგვცემენ იქ ოსმალეთის შესვლის შემდეგ დატყვევებული საზოგადო მოღვაწენი ციხიდან გაანთავისუფლეს.

**მეორე კამერული კონცერტი.** კვირას, შუადღის პირველის ნახევარზე, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მეორე კამერული კონცერტი უფასოდ შეგირდებისათვის.

**სომეხთა იუსტიციის მინისტრის გაძარცვა.** 28 გიორგობისთვეს დილის 9 საათზე გრიბოედოვის ქუჩაზე № 23. სომხეთის იუსტიციის მინისტრ ს. არუთუნიანის ბინაზე შევიდა 3 შეიარაღებული პირი მილიციონერების სახელით, და არუთუნიანის მეუღლეს იარაღი მოსთხოვეს. ჩხრეკის დროს 20,000 მან. ღირებული ძვირფასი ნივთები წაიღეს.

**სახალხო უნივერსიტეტის ქარ. ლექტორთა საყურადღებოდ.** დღეს, 30 გიორგობისთვეს საღ. 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალ შენობაში (მიხეილის ქ. სახლი № 91, დანიშნულია ქართველ ლექტორთა კრება, რომელზედაც მნიშვნელოვანი საკითხებია გასარჩევი.

**ღვინოზე ფასის აწევა.** ქალაქის გამგეობამ გადაათვალიერა ღვინის ნიხრი და ღვინის სიძვირის გამო საჭიროდ ნახა ღვინის ნიხრის მომატება. ამიერიდან ყველა ფირმის ღვინო № 2 უნდა გაიყიდოს 6 მან., 3 № 7 მან., 4 № 8 მან. და 5 9 მან. ბოთლი. ამასთან ღვინის გამყიდველთ დაევალა ყოველ ბოთლზე ეტიკეტები მიაკრან ფასის აღნიშვნით. ამასთან ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ახალი პრეისკურანტი მაგარ სასმელებისა, რომელზედაც ფასებიც მოუმატა. გასტრონომიულ მაღაზიის პატრონებს გამგეობამ ნება დართო ღვინის და სხვა სასმელების ფასს, ათი პროცენტი მოუმატოს.

**ქართული ლატარია.** გარდაცვალებულ მსახ. ი. ივანიძის ოჯახობა სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც განსვენებულ ივანიძისაგან ქონდა წაღებული ქართული ლატარიის ბილეთები ან გასავრცელებლად, ან ნისიად, ყოველივე ანგარიში მიცვალებულის ქრივს ჩააბარონ, ელისაბედის ქუჩა № 90.

**ქართული დრამა.** დრამატიულ საზ. წლევანდელ სეზონის წარმოებაზე უკვე ხელი აიღო და ამ მოკლე ხანში დაიწყება სეზონი ქართველ მსახიობთა კავშირისა. დასში იმყოფებიან ძველი მსახიობნი.

**საჭიროა მასწავლებელი** წ. კ. გ. საზოგადოების კაცკაცის სკოლისათვის. ჯამაგირი წლიურად 7200 მანეთი ბინით, განათებით და გათბობით. თხოვნები მიიღება წ. კ. გ. ს. კანტორაში. (სასახლის ქუჩა № 5).

# პროვინციის ცხოვრება

**თელავი.** დიდი თოვლი მოვიდა. აცივდა და ზამთარი დაიწყო. თელავში დიდი უნავთობაა. ჩარჩები გირვანქა ნავთს 15 მანეთად ჰყიდიან.

**ს. გუბი.** სოფელ გუბში შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი ტარასი ლოჩოშვილი და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გაგზავნეს.

**ს. მესხეთი.** ერასტი ფხაკაძეს თავს დაესხნენ ავაზაკები, მაგრამ ვერაფრის წაღება ვერ მოახერხეს.

**ს. ვანი.** „ესპანურ სენმა“ მუსრი გაავლო ხალხს. დახმარება კი არსაიდან არ არის.

# ინგლისის ელჩის ჩამოსვლა

ოთხშაბათს, 27 გიორგობისთვეს საღამოს 6 ს. თბილისში ჩამოვიდა ბაქოს კონსული მაკდონალდი. მას თან ახლავს ინგლისის ლაშქარის 4 რუსის ოფიცერი და 2 ინგლისელი ოფიცერი. გუშინ კონსულის წარმომადგენელი წარუდგა გზათა სამინისტროს საერთო საქმეთა მმართველს გიორგი ფიცხელაურს და მადლობა მოახსენა, რომ მათ საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანად იმგზავრეს და თან სთხოვა, რომ მათი მატარებელი № 92 მოუბას საქართველოს რკინის გზის სწრაფულ მატარებელს გარეშე მიღებულ წესისა, რაზედაც ბ. ფიცხელაურმა ნებართვა მისცა. კონსული თვისი ამალით ამ მატარებლით ფოთს მიემგზავრება იქიდან ყუბანში.

# ზუგდიდის რკინის გზის შესახებ

ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ახალ-სენაკ-ზუგდიდის რკინის გზა.“ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ე. ბღმბაიამ, გ. კაკაბაძემ, მ. კრანცმა, პ. მამრაძემ და სხვ. ბოლოს გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლუცია: „ვინაიდან შავი-ზღვის სანაპირო რკინის გზას აქვს დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა, რაც ამართლებს ამ რკინის გზისათვის გაწეულ და მოულოდნელ ხარჯებს, ვინაიდან მთავარი ლიანდაგის ზუგდიდზე გაყვანა გამოიწვევს გაკეთებული მიწის მუშაობის და ხიდების უნაყოფოდ მიტოვებას 20 ვერსზე და ახალ ლიანდაგის გაყვანას არა ნაკლებ 28 ვერსის მანძილზე და და ვინაიდან სატრანზიტო მაგისტრალების მიმართულება არ შეიძლება დაუმორჩილოთ პატარა ქალაქების ადგილობრივ ინტერესებს,— მთავარ ლიანდაგის მიმართულების შეცვლა იმ მიზნით, რათა მან ზუგდიდზე გაიაროს, უარყოფილ უნდა იქმნეს.“

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება დაბეჭდილ იქმნება „საქართველოს ეკონომისტის“ მახლობელ ნომერში.

ვ. კაკაბაძე.

# დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე

დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე არის თანამედროვე გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძეს და მეგობარი ილია ჭავჭავაძისა, ნიკო ნიკოლაძესა, კირილე ლორთქიფანიძესი და სხვათა.

მწერლობა დაიწყო 1870 წელს გაზეთ „დროებაში“. ერთ დროს, იგი საფრანგეთშიც სცხოვრობდა და იქიდან გაზ. „დროებაში“ იწერებოდა წერილებს საფრანგეთის ახლად დაარსებულ რესპუბლიკას მართვა გამგეობის დაარსებაზე 1870 წ. სწერდა ლუიბლანზე.

შემდეგ სტამბოლში სცხოვრობდა, იქ გაიცნო ოსმალეთის მთავრობის ნაწილში მსახური ქართველი მაჰმადიანები და ისტორიულ გათვითცნობიერებით შეამზადა.

განსვენებულმა თავის სიმპატიურის წერილებით 1870 წლებიდან, ქართველი საზოგადოებისაგან ისეთი ყურადღება მიიქცია რომ პოეტ გრიგოლ ორბელიანმა, როცა ილია ჭავჭავაძის შესახებ ლექსად საპოლემიკო პასუხი დასწერა, მაშინდელ ქართველთ ახალ მწერლებში დავითიც არ დასტოვა.

„მესხი, მეველე, მელიქ აღებიო“. მესხი სერგეი, მეველე განსვენებული დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე და მელიქ აღები სტეფანე მელიქიშვილია. „დროების“ გამომცემლის ძმა მწერალი მანდილოსნის ეკატერინე მესხისა.

1880 წლებში 1896 წლებამდის, დავითი თბილისში სცხოვრებდა და ჯერ ილია ჭავჭავაძესთან „ივერიაში“ მუშაობდა მერე „ივერიასაც“ რედაქტორობდა. ამის დროს გაზ. „ივერიას“ სახალხო მოძრაობა დაეტყო. გაზეთში მდაბიოთა მწერლებმა იწყეს წერა.

1896 წლების შემდეგ დავითმა „ივერიას“ თავი დაანება, ქუთაისში გადასახლდა და იქ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში მსახურებდა.

ტოლსტოის პიესა „მეუფება წყვდიადისა“ გადმოაქართულა. ერთ დროს შავი ქვის სამრეწველო საბჭოშიც მუშაობდა და დაახლოვებული მეგობრობა ჰქონდა გიორგი ზდანოვიჩთან.

უკანასკნელად, იგი ბანკის თანამდებობიდან განთავისუფლდა და თავის მამულში სცხოვრობდა.

ზ. ჭიჭინაძე.

# ერთა თვითგამორკვევა

ათი წელიწადი იქნება, რაც ევროპაში მსჯელობენ ერთა თვითგამორ-

კვევაზე მეცნიერებაში და ჟურნალისტიკაში, ხოლო საშინელ ომმა უფრო მწვავედ წამოაყენა საკითხი. ჩვენში ბევრმა არც უწყის, თუ რა ნაირად უნდა განხორციელდეს ეს პრინციპი.

ზოგი რეალურ მოსახლეობით ხელმძღვანელობს, ზოგი ისტორიულ საზღვრების ძიებით. პირველი ბუნებრივ უფლებას ეყრდნობა, მეორენი ისტორიულ—უფლებას. მაგრამ მეცნიერებაში ისტორიული და ბუნებრივი უფლების თეორიას დღემდე ერთნაირი ძალა-სიმართლე აქვთ, ერთნაირად იბრძვიან ჭეშმარიტებისათვის და სასწორი ჯერ არსით არ გადახრილა.

მაშასადამე ერთა თვითგამორკვევაში ამ თეორიებზე დამყარებული საბუთები საკითხს ვერ გადასწყვეტენ,— სხვა სახსარი რამ უნდა გვქონით.

ზოგჯერ კარგი საშუალებაა reductio ad absurdum. წარმოვიდგინოთ, რომ ერთა თვითგამორკვევაზე მსჯელობა მივიტანეთ მის ლოღიკური დასკვნამდე, და მოვისურვეთ ამ პრინციპის განხორციელება სავსებით. მაშინ დავინახავთ, რომ არც ერთ ერის ნაწილს არ შეუძლია სხვის სახელმწიფოში ცხოვრება. ცნობილია, რომ თითქმის არც ერთი ერი არ არის მთლიანად ერთ ტერიტორიაზე დასახლებული, ერები ერთი მეორეში არიან შერეული მოსახლეობით. ამიტომ ერთა თვით გამორკვევის პრინციპის სავსებით განხორციელებისათვის საჭირო იქნება ყველგან ცალკ-ცალკე გამოიყოს ყოველი ერის ნაწილი ისე, რომ სხვაში არ გაერიოს.

არის აგრეთვე მეორე საშუალება: თუ რომელიმე ერს არ ჰსურს სხვა სახელმწიფოში ცხოვრება, იმას შეუძლია აიყაროს და გადასახლდეს სხვაგან, სადაც უნდა; სახელმწიფო კი ვალდებული იქნება გამოიყიდოს მისი უძრავი ქონება. იტყვიან ეს მეტად სასტიკი ზომააო. შეიძლება, მაგრამ სამართალი ზოგჯერ უფრო სასტიკი ზომებსაც მოითხოვს; ეს იქნება უაღრესი სამართლიანობა. რომელსაც ერთა-თვითგამორკვევის პრინციპი მოითხოვს. ასეთ შემთხვევისათვის იტყოდენ უთუოდ რომაელი იურისტები „su mnumpus sumra inpria“, და ისინი კი მთელს ქვეყნიერებაზე განთქმული იურისტები იყვნენ.

ამ ამისთანა სისასტიკეს რომ ავსცდეთ, ამისთანა არევ-დარევა რომ არ მოხდეს პრინციპებისა და მსჯელობის საბუთებისა, ერთა-თვითგამორკვევისათვის უთუოთ სხვა საფუძველი უნდა გამოვნახოთ, გარდა რეალური მოსახლეობისა და ისტორიული საზღვრებისა.

აწინდელ აზროვნებაში ერთა განსხვავებისათვის ენა ერთად ერთი საფუძველია. მაგრამ განა ეთნიური სხვადასხვაობას უფრო მეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინემ სხვა ამგვარ თვისებას, მაგალითად სარწმუნოებას. ყველამ იცის, რომ არსებობს პანისლამიზმი და რომ ეს ნამდვილი მიმართულებაა და მისწრაფებაა და არა სიზმარი. ყველამ იცის ისიც, რომ მაჰმადის თაყვანის მცემელნი ყველანი ერთი ნაციის არ არიან. აგრეთვე ვიცით, რომ შვეიცარიაში ცხოვრობენ ფრანგები, იტალიელები და გერმანელნი, მაგრამ ყველანი თავიანთ თავს შვეიცარიელებს უწოდებენ.

აგრეთვე ვიცით, რომ ამერიკაში სცხოვრობენ ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები და ირლანდიელები მაგრამ ყველანი თავიანთ თავს სთვლიან ამერიკელებად.

მაშ რა არის ნაცია, ნაციონალიზმი, ნაციონალობა ან ეროვნება?

მეცნიერებაში არ არსებობს მკაფიოდ გარკვეული განმარტება ამ მცნების, ისეთი რომელიც აკმაყოფილებდეს ლოღიკის მოთხოვნილებას, თორემ შეიძლებოდა ამ განმარტებას მოეცა ჩვენთვის სახელმძღვანელო პრინციპი.

ინგლისელი სოციალოგი ბეჯგოტი ამბობს: ნაციონალური ენა ერის თემის ენაა, რომელსაც კარიერა გაუკეთებიაო. აგრეთვე შეიძლება ითქვას; ნაცია არის თემი, რომელსაც კარიერა გაუკეთებია. საუცხოვო მაგალითია ჩანგისყაენი და მონგოლთა ურდოები სხვა და სხვა თემის, დაეხეტებოდნენ მონგოლეთის განუზომელ უდაბნოსა და მინდვრებში, მინამ არ გაჩნდა ჩინგის ყაენი. მაგრამ გაჩნდა გენიოსი ბელადი ერთს თემში. აუტეხა ომი ერთ-ერთ მეზობელ თემას, დაიპყრო, იგი დაიპყრო მეორე, მესამე და სხვა. ამ გვარად შემოიერთა მთელი მონგოლეთის თემები და ურდოები. ტერიტორია გაფართოვდა, ხალხი გამრავლდა, მართვა-გამგეობა გართულდა და თანდათანობით თემობრივიდან გადავიდა სახელმწიფოებრივზე. ამავე დროს თან და თანობათ თემობრივი გრძნობა გარდაიქმნა ნაციონალურ გრძნობად და თემებისაგან შეიქმნა ნაცია. აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ განმარტება: **ეროვნება არის გრძნობა სახელმწიფოს მიერ წარმონაშობი***), და ამ გრძნობის პროექცია ყოველ ერისათვის არის მისთვის სასურველი სახელმწიფოებრივი ფორმები.

ამ განმარტებიდან ცხადია, რომ ცხოვრების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება არის ერის სახელმწიფოებრივი აზროვნება და ტრადიციები, მისი წარმოდგენა და ნატვრა სახელმწიფო წეს-წყობილებაზე, ორგანიზაციაზე. და არა ენა ან ეთნიური ჩამომავლობა, და ან კიდევ სარწმუნოება და სხვა და სხვაობა.

მაშასადამე ერთა თვითგამორკვევის იდეის ფორმაში ჩამოყალიბების დროს პირველად უნდა გამოირკვეს საკითხი, რომელ ერს შეუძლია სახელმწიფოს შექმნა. ის ერი ან ერის ნაწილი, რომლისათვისაც შეუძლებელია საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, იძულებული გახდებიან მოყვეს სხვის სახელმწიფოში, ვინაიდან აწინდელმა ცივილიზაციამ არ იცის კაცის ან საზოგადოების ცხოვრება გარეშე სახელმწიფო ორგანიზაციისა.

ამგვარად, ცხადია, რომ ერთა თვითგამორკვევის საკითხში ჩვენ არა თუ ვერ აუხვევთ გვერდს უუდიდეს პრინციპს, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო, პირდაპირ ამ პრინციპის ჩარჩოში უნდა მოემწყვდეს თვით საკითხი.

აქედან კი ორი დებულება გამოდის, რომელიც ისე მძლავრია, როგორც ბუნების კანონი. ბევრი ერის ნაწილი და ზოგჯერ მთელი ერიც უნდა მოყვეს სხვის სახელმწიფოში, რადგან სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, და აგრეთვე შეუძლებელია, რომ ყოველმა სოფელმა შექმნას თავისი სახელმწიფო; 2) სახელმწიფოს აშენებისათვის და მის არსებობისათვის არსებობს საკუთარი კანონები, რომელიც უთუოდ დაცულ უნდა იქმნეს, თუნდ ეს ეწინააღმდეგებოდეს რომელიმე ერის ან მისი ნაწილის სურვილს.

უკანასკნელი დასკვნა: ერთა თვითგამორკვევისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფოს აშენება, ან არსებულის განმტკიცება, ვინაიდან სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, და გარდა ამისა, თვით ეროვნება წარმონაშობია სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფოს არსებობისათვის კი მისი გამგენი ან აღმშენებელნი უნდა ხელმძღვანელობდენ არა იმითი, მოყვება თუ არა მის საზღვრებში რამოდენიმე სოფელი უცხო ტომით დასახლებული, არამედ უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ინტერესებითა:

სტრატეგიული პუნკტების დაჭერით და ეკონომიურად დაკავშირებული პროვინციების შემოერთებით. ყოველ სახელმწიფოს აქვს, რაც უნდა პატარა იყოს ის, ისეთი სტრატეგიული პუნქტები, რომლის დათმობა შეუძლებელია; უმჯობესია თვით დამოუკიდებლობის, სუვერენობის დათმობა; უმჯობესია ამგვარი გაჭირებაში ჩაგდებული ერი სხვის სახელმწიფოს ამოეფაროს. ამ გვარივე მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ინტერესებს. სახელმწიფოს ხელმძღვანელნი არ უნდა გადაირიონ სიხარბეში ისე, რომ შემოიერთონ ისეთი პროვინციები, რომლებიც სხვის სახელმწიფოს ცენტრთან არის დაკავშირებული, მაგრამ უნდა შემოიერთოს უთუოდ ისეთი პროვინციები, რომლებიც მის სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული ეკონომიურად, თუნდაც ეს პროვინციები სხვა ტომით იყოს დასახლებული.

ბ. გამსახურდია.

# ერი საზეპურო

გამოვირჩია ოფალმან ღმერთმან შენმან, რათა იყო შენ მისა ერად საზეპუროდ ყოველთა უფროს ნათესავისა, ნათესავთა, რომელნი არიან პირსა ზედა ქვეყანისასა. 2 შჯ. 7 6 (№ 51).

მე მამულიშვილობა არ მალაპარაკებს, არამედ ადამიანურობა.

განა რითი არ არის ქართველი საზეპურო?

სიმშვენიერე აკლია თუ ნიჭი? კეთილშობილება ეზიზღვის თუ რაინდული სული?

წალკოტისებური თვალ-გულ წარმტაცი საცხოვრებელი ბინა ვერ ამოურჩევია თუ?

თავისებური ლამაზი კულტურა ვერ შეუქმნია თუ?

კეთილშობილურ ბრძოლით თავისი ეროვნული იერი ვერ გამოუმუშავებია, ვერ გამოუბრძმედებია თუ?

ყოველივე ეს შეუქმნია, ყოველივე ეს ჰარბად შეუსრულებია.

მშვენიერებაც შეუძენია, რაინდობაც მოუპოვებია, ლამაზი მამულიც, დიდებული კულტურაც დაუმკვიდრებია.

განა მარტო ეს? არა, თავის სისხლით გაუმშვენიერებია ბევრი სხვა!

მე არ ვაზვიადებ.

ცნობილი მეცნიერი ჩარლზ დარვინი თავის „სქესებრივ გამორჩევაში“ (ადამიანის წარმოშობა, ტ. I[1], ნაწ. 2, გვ. 397), ამბობს:

„სპარსთა აღწერაში ძველი დროის მოგზაური ჩარდინი იუწყება: „სისხლი სპარსთა ეხლა მეტად გაკეთილშობილებულია ხშირ ქორწინების გამო ქართველებთანა და ჩერქეზებთან, ამ ორ ეროვნებასთან, რომელიც ყველა სხვებს სჯარბობს სილამაზით. სპარსეთში არც კი იქნება ვინც ერთი კეთილშობილი კაცი, რომლის დედა არ იყოს ან ქართველი ან ჩერქეზი. მათ ეთვისებათ სილამაზე არა მემკვიდრეობით თავიანთ წინაპრებისაგან. თუ არა ხსენებული სისხლის შერევა, კეთილშობილი სპარსელები, ეს თათართა შთამომავალნი, იქნებოდნენ ფრიად გონჯნი“.

ეს ცნობა ამოუღიაო, შენიშნავს დარვინი, ლაურენსის წიგნიდამ „Lectues on physiology“ 1822 წ.

თავის მხრივ პროფ. პატკანოვი აღნიშნავს (დნევნიკ ოსადი ისპაგანა ავღანისთაში, გვ. III): „ყაენის აბაზ პირველის შემდეგ წესად შემოიღეს შაჰებმა თავიანთ აზალად ჰყოლოდათ ქართველთა რაზმი, ხოლო ქართველ თავადებისთვის მიენდოთ უმაღლესი თანამდებობანი სპასალარისა, დივანბეგობისა, ისპაჰნის ტარუღობისა და ხანებისა ცალკე თემებში. სეფიების ყაენობისას ქართველთა უმაღლეს წოდების წარმომადგენლები მიდიოდნენ სპარსეთს, ყანდაარს, ხორასანს, და აქ რჩებოდნენ ან დროებით ან სამუდამოდ. ამ დროს მათი რიცხვი სპარსეთში დიდი იყო. (ჰარამხანებში მყოფ ქართველ ქალების მითვლით), და დიდი გავლენაც ჰქონდა. სპარსთა უმაღლეს წოდებათა რასიულ გარდაქმნაში“.

მწერლები აღნიშნავენ იმასაც, თუ რა სურვილით ყიდულობდნენ ქართველ ქალებს ოსმალები სტამბოლში, თუ რომელი ხონთქარი იყო შვილი ქართველ ქალისა, ან რომელი იმპერატორი ბიზანტიისა, რომელი შაჰ. ტრაპიზუნტის იმპერიის დამაარსებლის ტანადობის და ლამაზ სახეს ისტორიკოსები მზათ არიანო ახსნან მის ჩამომავლობით ქართველი წინაწრებისაგან.

მე აქ აღარ აღვნიშნავ შვეიგერ ლერხენფელდის შეხედულობას ქართველ ქალის სილამაზის შესახებ, არც აზრს დელაპორტისას, რომელიც დააფეთიანა ჩვენებური ასულების შვენიერებამ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენში ქალთა სილამაზეს თითქმის არ ჩამოუვარდება ვაჟთა სილამაზეც.

ესეთი სილამაზე, უეჭველია, უნდა იყოს ნაყოფი მრავალ საუკუნოვან სქესობრივ შერჩევისა. ამას თუ ვინმე გვემტკიცებს საქართველოს უწარჩინებულეს გვარების უღმეატებულესი შნო და სილამაზე, და იგინი-კი ხომ მუდამ თავიანთ წრეებს რთავდნენ უუმშვენიერეს ქალებს.

შვენიერებისკენ მიისწრაფოდა ქართველი და ამასობაში ყოველი უმსგავსოება მცირდებოდა და ან ისპობოდა.

ამ სახით გამოშუშავდა ის სიმშვენიერე, რომელიც შეადგენს ზემო აღნიშნული მწერლების ჩვენებით, ქართველ ერის თვისებას.

მაგრამ ქართველ ქალს ისე, ვით ქართველ ვაჟს, ამშვენებდა ოჯახური საქმეც, აგრეთვე სიყვარული მწიგნობრობისა, რაინდობისა და მრ. სხვა სათნოება.

მრავალთაგან მხოლოდ ერთი ნაწყვეტი სეიდ მულქარის ნაამბობიდან.

1722 წელს ოსმალთა სულთანი მაჰმუდი შეება ავღანებს გილნაზართან. ავღანებს შველოდა ერთი ვაჟკაცი ქართველი, რომელიც ბრძოლის დროს იქვე დაიღუპა გმირულად. მისი სიკვდილი აცნობეს მის ცოლს. იგი საქართველოდგან წამოვიდა მხედრად გადაცმული და შეიარაღებული და ავღანთა ჯარში ჩაეწერა. რამდენიმე ბრძოლაში ოსმალებთან მოჰკლა მან 50 კაცი და ამით სისხლი აიღო თავის გმირ ქმრისა. ბოლოს იგი, შვენიერი მარგალიტი, თვითონაც დაჭრილი ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალებს. რომ წარუდგინეს სულთან მაჰმუდს, წარბშეკმუხვნით ახსნა მიზეზი ომში გამოსვლისა. დიდად გაიკვირვა ხელმწიფემ ესეთი გმირული გამოსვლა ქართველი ქალისა, გაანთავისუფლა და მრავალ წყალობით სამშობლოსკენ გამოისტუმრა.

მერე რამდენი ამისთანა სამაგალითო გამოსვლები ყოფილა საქართველოს ასულების მხრივ! გარეშემო ქვეყნებში რომ ქალ-წულები ჰარამხანებიდან პირაფარებულებიც-კი სინათლეზე ვერ გამოდიოდნენ, ჩვენში დადამები, ნინოები, შუშანები, გურანდუხტები, თამარები, ნათელები კიდეც სახელოვნად მეფობდნენ, კიდევ ემსახურებოდნენ შვენიერებას, სჯულიერებას, ერთა შორის სათნოების დამყარებას, სამშობლო ქვეყნის აღორძინებას...

ესეც ხომ ერთგვარი შვენიერებაა, რომ აზიის კუნჭულში შედარებით მცირე ერმა წარმოშობა ისეთი პირველი ხარისხოვანი მოაზროვნეები, ვით პეტრიწი, შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, გაბრიელი, აკაკი, და ამასგარდა თითქმის გველის ყბაში მყოფმა შესძლო მოეფინა განათლება თავის სამშობლოში და მოემზადებინა მრავალი სახელმწიფო კაცები, მოღვაწეები და მეცნიერები. განა ის კი მშვენიერება და საზეპურობა არაა, რომ ამ ნერგვას თავი დავალწიეთ.

მ. ჯანაშვილი.

* შენიშვნა. ეს განმარტება ეკუთვნის ერთ ჩემ მეგობარს, რომელსაც 15 წელიწადი იქნება, რაც მზად აქვს ნახევარი ტომი ნაციონალურ საკითხებზე, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო აქამდე ვერ გამოუქვეყნებია.

# დეპეშები

(საქ. ტელ. სააგენტო)

**გერმანიის ეროვნული ყრილობა.**

გერმანული პრესა. 27 გიორგობ. სახალხო კომისარმა ებერტმა 25 გიორგობისთვის, სადამოთი პრესის წარმომადგენელს განუცხადა, რომ მთავრობა ამ ჟამად, ისე როგორც წინად, ხელმძღვანელობს 12 გიორგ. დეკლარაციაში აღნიშნულ პროგრამით, რომელშიც გამოთქმულია საკონსტიტუციო ყრილობის მოწვევის საჭიროების აზრი. ებერტმა მიუთითა იმაზე, რომ გერმანიის და დაპყრობილ ოლქების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების და აგრეთვე ტრედუნიონების და პარტიულ ორგანიზაციების მიერ მოწყობილი მრავალ-რიცხოვანი დემონსტრაციები წინააღმდეგია დიქტატორობის და მოითხოვენ ეროვნულ ყრილობის მოწვევას. მთავრობამ ზომები მიიღო ეროვნულ ყრილობის მოსაწვევად და ჰსურს მოკლე ხანში განიხილოს შინაგან საქმეთა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ წინადადება ხმის მიცემის შესახებ. უეჭველია, უნდა დამყარდეს მცხოვრებთა შორის სიმშვიდე მეტადრე ახლა, როცა ყველა ასპარეზებიდან ჯერ ისევ მოდის ჯარი და სამხედრო-სამრეწველოებიდან მუშები კერძო ქარხნებში გადასვლას განაგრძობენ.

ებერტმა აღნიშნა: მთავრობას სწამს, რომ ეროვნული ყრილობა, რაც შეიძლება მალე, უნდა იქმნეს მოწვეული „რათა შემუშავდეს სოციალისტურ რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძველი და დაუმატა, რომ ეს საკითხი მისი პარტიის ძირითადი დებულებაა, რომელსაც დაიცავს იგი ყოველგვარ პირობებში. ის დარწმუნებულია, რომ საკანონდებლო დაწესებულება გერმანიის არსებობისათვის აუცილებელია.

**ცენტრალ პარტიების მოწოდება.**

ცენტრალ პარტიის ხელმძღვანელებმა მოწოდებით მიმართეს ყველა თანამოაზრეთ, მიიღეთ ზომები დასამყარებლად საბოლოო ზავისა, რომელიც დამყარებული იქნება ვილსონის თოთხმეტ. მუხლზე შიმშილით გარემოცვა უნდა გააუქმონ და საშუალება მოგვცენ აღვაორძინოთ გერმანიის ხალხის ახალ სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა და ვიხრუნოთ ტყვეები და ვუაქიმოთ იმ უთვალავ დაჭრილთ, რომელნიც ომმა მოგვანიჭა.

**ნიჟნი-ნოვგოროდის ხაზინის გაძარცვა**

ნიჟნი-ნოვგოროდის ხაზინიდან 18 მილიონი მანეთი წაიღეს. მძარცველები შეიპყრეს და ლატიშთა მსროლელნი გაზოდენენ. სახალხო კომისარმა მიკლაშევსკიმ შეპყრობისას თავი მოიკლა.

**ხვამბოლის სუმბარინების გადაცემა**

გერმანულ ცენზურის ნებართვით სევასტოპოლიდან იუწყებიან, რომ გერმანელ წყალქვეშებმა რუსებს სუმბარიანები გადასცეს.

**ლიუდენდორფის ჭკუაზე შეშლა**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობით გერმანეთის მთავარბანაკის ყოფილი უფროსი ჭკუაზედ შემცდარა და ნერვიულ ავადმყოფთა კლინიკაში გადუყვანიათ.

**ქ. ქერჩის დაჭერა მოხალისეთაგან.**

ქ. ქერჩში 19 გიორგობისთვეს მოხალისეთა ლაშქრის პირველი ნაწილი შევიდა. ქალაქში მათ რამდენიმე მილიონის პატრონა იშოვნეს.

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**დონზე**

ყუბანის რადამ და გენ. დენიკინმა ერთმანეთს შემდეგი დეპეშები დაუგზავნეს:

„შევიკრიბეთ რა პირველ სხდომაზე, საოლქო საგანგებო რადის წევრნი გიგზავნით გულწრფელ სალამს სახელგანთქმულ მოხალისეთა ჯარს და ყუბანის ლაშქარს, რომელნიც დაუზოგველად ღვრიდით სისხლს მძარცველებისა და თავისუფალი ხალხის დამამნავებელთა წინააღმდეგ. მთელი ქვეყანა განცვიფრებული შესცქერის მოხალისეთა ჯარის და ყუბანის ლაშქრის ბრძოლას გადარეულის და გამყიდველთა დაბრმავებულ მტრის უთვალავ ბრბოებთან, დე, ყუბანის შვილების და სამშობლოს შვილების წმინდა სისხლი მხსნელი იყოს რუსეთისა ხალხის დამღუპველთა ულლისაგან და დე ერთიან მთლიანი რუსეთის თვალ გადაუწვდენელ სივრცეზე, როგორც ცენტრში ისე განაპირა ადგილებში ამობრწყინდეს დიდებული მზე კანონისა და სამართლისა. დეე თავისუფალმა ხალხმა დაისვენოს ანარქიისა, გამყიდველობისა, ძალადობისა და თვითნებობისაგან.

თავის მუშაობის დაწყებისთანავე რადა თავის უმაღლეს მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობას და სამშობლოს ბედნიერებას და სწამს რომ განთავისუფლების ჟამი მოახლოვდა. ამისათვის მოუწოდებს ყუბნის ნამდვილ შვილებს—შეერთდნენ ძვირფასი სამშობლოს სახელით და უსურვებს კანონისა და სიმართლის დამცველთ ბრძოლის საქმე ბოლომდის მიიყვანონ.“

**ღენ. დენიკინის პასუხი**

მოხალისეთა ჯარის სახელით მადლობას გწირავთ საოლქო განსაკუთრებულ სალის სალმისა და კეთილი სურვილებისათვის. გვრწამს, რომ საოლქო განსაკუთრებული ძალა, რომელიც თავის ნაბიჯებში ხელმძღვანელობს სახელმწიფოებრივი აზროვნებით და სიყვარულით დაკუწულ სამშობლოსადმი, შესძლებს ფეხზე დააყენოს ყუბანის გმირი ხალხი და ამოქმედებს ახალ საგმირო საქმეთათვის რუსეთის განსათავისუფლებლად და მისი ძველი დიდების და ძლიერების აღსადგენად.

**შეთანხმების სახელმწიფოთა მოწოდება**

როგორც „რუს. გოლ.“ გადმოგვცემს სიმფეროპოლის გაზეთებს შემდეგი რადიო მიუღიათ:

შეთანხმების სახელმწიფოთა მოწოდება სამხრეთ რუსეთის მოსახლეობისადმი. „გაუწყებთ მოსახლეობას, რომ ჩვენ შევედით რუსეთის ტერიტორიაზე, რომ აღვადგინოთ წესიერება და გავანთავისუფლოთ უზურპატორ ბოლშევიკთა ულლისაგან. ამისთვის ყველა ის ხმები, რომელსაც ავრცელებენ პროვოკატორი ბოლშევიკები ვითომ ჩვენ გვინდოდეს ჩვენი ჯარების სამხრეთ რუსეთში შესვლით გერმანელების გარეკა, სიცრუეა. გერმანელები ჩვენსავით არიან მხოლოდ უფლებებისა და წესიერების დასაცველად. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზნები ერთნაირია.

ხმები, მოსალოდნელ ბრძოლებზე, ტყუილია და ავრცელებენ ხალხში შიშის გამოსაწვევად. ყველა უვარგისი ელემენტი რუსეთისა ბოლშევიკები და მათი მონაწილენი, კანონის მფარველობის გარეშე არიან, და ისინიც, ვინც ბოლშევიკებს დაიფარავენ, სამართალში მიიცემიან. რუსეთში ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ იმ ჯარებს, რომლებიც ბოლშევიკთა წინააღმდეგ იბრძვიან. ესენი არიან მოხალისეთა, ყაზახთა და დამფუძნებელი ყრილობის ჯარები. ამისათვის ყველა შეიარაღებულ ორგანიზაციებს ჩამოერთმევათ იარაღი, რომელსაც ჩააბარებს განსაკუთრებით მისათვის დანიშნული ინტერნაციონალური განყოფილების წარმომადგენელი.

მოწოდებას ხელს აწერენ წარმომადგენელნი: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის, რუსეთის, იტალიის, ბელგიის, სერბიის, საბერძნეთის და რუმინიისა.

**ყარაბახი.**

გაზეთ „აზხატავორის“ ცნობით შუშაში და ზანგეზურში არავითარი ექსცესები არ მომხდარა. ოსმალთა ჯარი ზანგეზურში არ შესულა. აზერბეიჯანის მთავრობა დაჟინებით ამტკიცებს, რომ ანდრანიკი ამჟამად ზანგეზურში იმყოფება. სომხებს და თათართა შორის მშვიდობიანობა მყარდება.

**იაპონელები ციმბირში.**

„უფ. ვესტ.“ ხარბინიდან ატყობინებენ, რომ იაპონიის ჯარების მოხვლა თანდათან ძლიერდება. ახლად მოსული ჯარები ირკუტსკისკენ მიდიან. ქალაქს იცავს რუსეთ-იაპონიის შერეული კომისია. ამერიკიდან და იაპონიიდან ბევრი საქონელი მოდის.

**პოლონელები მურმანზე.**

როგორც იუწყებიან მურმანის სანაპიროებზე საფრანგეთიდან პოლონელთა კარგად შეიარაღებული ჯარი მოსულა, რიცხვით 7 ათასზე მეტი.

**უკრაინიდან იასში.**

კიევიდან იასში გაემგზავრნენ მრავალი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი განსაკუთრებით ზომიერი მემარჯვენე წრეებიდან, მათ რიცხვში: სახელმწიფო საბჭოს წევრი შებეკო, გენ. გურკო, რიაბუშინსკი, სახელმწიფო საბჭოს სამხედრო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე სავიჩი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი დემჩენკო. გაემგზავრნენ აგრეთვე ზოგიერთი დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელიც.

უკრაინის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით იასში გაემგზავრნენ უკრაინის მთავრობის წარმომადგენლნი. მიღებული ცნობებით იასში გაემგზავრა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ს. დ. საზონოვი.

იასშივე მივიდა უფის დირექტორიის წარმომადგენლნი.

**104 კაცის დახვრეტა.**

პიატიგორსკიდან ჩამოსულნი გადმოგვცემენ, რომ იქ დაუხვრეტიათ 104 კაცი. მათ შორის გენერალი რუზსკი, რადკო-დიმიტრიევი, აქვსენტიევი და ბობრინსკი.

**კიევში.**

კიევში გაფიცვებია. ამას წინედ დაასაფლავეს დახვრეტილი მუშები და სტუდენტები.

# წერილები გორიდან

## საოსტატო სემინარია

გორის საოსტატო სემინარია თითქმის ნახევარ საუკუნეა რაც არსებობს. წინად მას ერქვა ამიერ-კავკასიის სამასწავლო სემინარია. მოწაფეთა რიცხვი და რაოდენობა ეროვნებისდა-მიხედვით ყოველთვის ქართველებისთვის საზარალო იყო. ამ სასწავლებელში, რომელიც ქართლის შუაგულში არის, წარსულ წლებში ათი ან თხუთმეტი თუ იყო ქართველი ორას კაცში; სხვები ან დონის და თერგის ყაზახებიდან იყვნენ, ან შუშელი თუ ერევნელი სომხები, ან განჯის, ან გუმბრის მხრის ბერძნები. შარშან ჯეკანისთვეში, რევოლუციის დროს, ძველმა მასწავლებლებმა, მრავალი უცხო ელემენტი მიიღეს, რომ ამით ხელი შეეშალათ ამ სკოლის გაქართულებისათვის. მაგრამ ცხოვრებამ და სინამდვილემ თავისი გაიყვანა და ოთხივე კლასი გაქართულდა. ეხლა სწავლა-მეცადინეობა ყველა კლასებში ქართულად არის. უფროს კლასებში მოწაფეთა რიცხვი მცირეა, რადგანაც სკოლის გაქართულების გამო, ბერძენი, რუსი, სომეხი და თათარი იძულებული იყო სასწავლებლისთვის თავი დაენებებინა. პირველ კლასში-კი მოწაფეთა რიცხვი საკმაოა.

გორის სვებედის გამგეობა და აგრეთვე საქართველოს სასკოლო მთავრობას დიდი დანაშაული მიუძღვით ამ სასწავლებლის წინაშე. ორივეც ამ მმართველობამ დიდი უყურადღებობა გამოიჩინა ამ სასწავლებლისადმი. აქ იყო ორი განყოფილება: თათრული და მართლმადიდებლური. გამოცხადდა თუ არა დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიისა, თათართა განყოფილება თათრებს ერგოთ, მართმადიდებლის ქართველებს. თათრები გონივრულად მოიქცნენ: სკოლას მაშინვე ჩამოაცალეს ძველი მოხელე რუსი მასწავლებლები და ყარაულად მიუჩინეს თავისი კაცი, რომ სასწავლებელს არა ვნებოდა და არა დაეკლებოდა-რა.

ასე არ მოიქცნენ ქართველები წარსულ ენკენისთვემდე, მთელი ეს სასწავლებელი ისევ იმ რუს მასწავლებელთა ხელში იყო, რომელნიც ჯავრს სასწავლებელზედ ყრილობდნენ; აჩ ნაგებდნენ მის ძვირფას ქონებას: ..ტაცებოდენ ყველაფერს. დაიკარგა: პანსიონის ტანთსაცმელი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ფიზიკურ კაბინეთის სამკაულები და სხვა. ამავე დროს სემინარიის მშვენიერ ბაღს განაგებდა ისევ ძველი მასწავლებელი რუსი და ის იქ აოხრებდა რაც კი შეეძლო. ასე რომ ამ სასწავლებელმა ჩვენი დაუდევრობით და უყურადღებობით ბევრი რამ იზარალა.

ეხლა დარწმუნებული ვართ, ახალი ხელმძღვანელი ამ სასწავლებლისა, მთელი თავის ძალით და საქმისადმი სიყვარულით შეუდგება დანაკლისის შევსებას.

**სოსო.**

## მოწაფეთა კავშირები

სამოსწავლო წელი დაიწყო. სკოლები გაქართულდა და ქართული სული დატრიალდა. მოწაფენი მეცადინეობას კიდეც შეუდგნენ. სწავლის განახლებასთანავე მოწაფეებში აღიძრა აზრი მოსწავლეთა კავშირის მუშაობის გაჩაღებისა, ახალ გამგეობის არჩევისა. ამ აზრით შესდგა გორის მოწაფეთა საზოგადო კრება სასულიერო სემინარიის დარბაზში, ყველა მოსურნე იყო კავშირის განახლებისა; მოსურნე იყო თვითონაც მიეღო მონაწილეობა ამ საქმეში, ასე არ ფიქრობენ ზოგიერთნი და ათასგვარი დაბრკოლებანი წამოაყენეს. თუ არა დასახელება კანდიდატებისა, მათ გამოაცხადეს, რომ ისინი პრეზიდიუმისთვის კანდიდატს არ წამოაყენებენ. ასეთი გამოსვლა არაფრით არ იყო დასაბუთებული.

შარშან მოწაფეთა კავშირი საქმეებს და კრებებს რუსულ ენაზე ასრულებდა; კრებამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება.

ამ საკითხში სახე იჩინა ცუდმა ზნემ. უფროსი კლასის მოწაფეებმა დაიწყეს მტკიცება იმისი, რომ ეს შოვინიზმია და უმცირესობის ინტერესების შელახვააო, რადგან არიან პირნი, რომელთაც ქართული არ იციანო, მაგრამ ისინი სხვისთვის კი არა სწუხდნენ, არამედ თავისთვის.

კრებამ პირველ დღეს დაადგინა, ქართულის შემოღება.

თუმცა ბევრად ხელს უშლიდნენ ზოგნი „მთვრალი ლიდერები“, მაინც აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელიც მხნედ შეუდგა საქმეს და უკვე აწყობს სალიტერატურო დილას.

**სოს...**

## დიდი ლიახვის ხეობა

ორი წლის წინათ დიდი ლიახვის ხეობასთანა მშვიდი მშრომელი კუთხე არ იყო. დღეს ყველაფერი გადატრიალდა. უსვინდისო ქურდებს, და ძარცვა-ტიალეთ აღარა გადარჩა მოუხელავი. იარაღით სახლებში შეჭრა და ყველაფრის გატაცება, საცვლებისაც კი, საშინელი შიშის ზარის დაცემა სახლში მყოფებისა დამცემთაგან, წისქვილებისაგან მინდისა და მოსაფქვავების მოპარვა, საბძლების ჩხრეკა და სათესლე პურის გატანა, საქონლის საძოვრიდგან გატაცება, მუქარები და სხვ. აი რა ხდება დიდი ლიახვის ხეობაში.

ამ ხეობაში ქართველები და ოსები ცხოვრობენ. ოსებს საკუთარი ეროვნული საბჭო აქვთ. ის ამაყად შეიარაღებული დადის, ქართველებს კი იარაღი სულ ჩამოართვეს და შეშინებულები დადიან თავის სამუშაოზე. თავის უბედურებაზე სჩივის „პატრონი არა გვყავსო, ღამის შეგვჭამონ ყაჩაღებმაო“. გაიხსენეთ ამ ორ თვეში რაც ბოროტება მოხდა ამ ხეობაში: ს. კეხვში დაეცნენ მიხა კახნიაშვილს შეიარაღებული ხალხი, მძინარეებს დააწვნენ კაცებს და ხმა არ ამოაღებინეს, თოფები გულში მიაჭირეს და შვიდი ცხენით რაც სახლში ტანისამოსი და ხელ-სტაცი საუნჯე ებადა, აგრეთვე ფულები, გაიტაცეს. ქალის მზითევი ზედ ჰქონდა, ისიც და „ბარე ეს ქალიც წავიყვანოთო“, —სთქვეს თავხედურად და გზას გაუდგნენ. ს. ზემო აჩაბეთში ვანო მაისურაძეს დაეცნენ და ყველაფერი წაართვეს. ს. ქემერტში მღვდელ დიმიტრი კასრაძეს, ეს მუშა კაცი, გუთნიდედა, მეურმე, მხვნელ-მთესველი კინაღამ დაარჩვეს და რაც კი ებადა სახლში თავის მრავალი ქალიშვილების ჩასაცმელ დასახური და საუნჯე, ყოველივე წაიღეს.

კვირა ნახევრის შემდეგ თბილისიდან ქალიშვილი მოვიდა, ალბათ ეგონათ რომ გასათხოვრად გამზადებულ ქალიშვილების მზითევი მოიტანეს, მეორედ დაეცნენ, მოხუც მღვდელს პირში თოფის ლულა ჩასცეს კბილები ჩაუმტვრიეს, აწამეს სანამ სახლში უმწეო ქალებს ყველაფერს მოატანინებდნენ, რაც კი ქალაქიდან მღვდლისთვის და მის ჯალაბისთვის ტანისამოსი მოეტანათ, ყველა წაართვეს, ისევ ტიტვლები დასტოვეს, დიდი შიში აჩვენეს, აღარც ფეხთ, აღარც ტანთ აღარ ეცვა მღვდელს და ისე დახეული საცვლების ამარა ავადმყოფის საზიარებლად და მიცვალებულის დასამარხაო იწვევდნენ მრევლში!! ს. ქვემო ხვითში მიხეილ დიასამიძეს დაეცნენ, ბავშვები და ქალები დაუწიოკეს, თითონ მ. დიასამიძეს თოფის კონდახებით სცემეს, კოოპერატივის ფული 8,500 მანეთი წაართვეს, შვიდი ტომარა გაამსეს ყოველივე ფართლით, ვერცხლეულ ოქროულით და წავიდნენ, თავხედურად ძარცვის დროს „არშინ მალანანის“ ხმაზე მღეროდნენ. „ერთი დროება არვის შერჩენიაო“—„ყველაფერს წავიღებთო, ჩვენ ღარიბებისთვის მიგვაქო“,—„ფული ნუ მიგაქვთ ეგ ხალხისააო“,—„იყოს, ჩვენც ხალხისთვის გვინდაო“.

ს. მელვრეკისში დაეცნენ პავლე დიმიტრიადს, გაძარცვეს და მძიმეთ დასჭრეს, ქუხნაში გასტეხეს ვანო ბორეტიშვილის ბეღელი და ყველაფერი წაიღეს, იქვე სანდრო ლევანიშვილის წისქვილიდგან საწყალი ოსის სარჩო მოიპარეს ოთხი კოდი, ქუხნაშივე დაეცნენ პეტრე მინდიაშვილს ტანისამოსი, ფული, საკერავი მაშინა და ყველაფერი წაიღეს. ილო ყორიაშვილს და ვანო ბასიშვილის საბძლები გატეხეს და ექვს-ექვსი კოდი პური, ხერხი სამხერხაო ქარხნისა და სხვა ავეჯი მოიპარეს და წაიღეს. კეხვის ყელში მგზავრებს შიშით ველარ გაუვლიათ, მრავალ ხალხს სძარცვავენ, გაძარცვეს მსხლების მასწავლებელი ყოჩიაშვილი, კეხველი ნალბანდები, რომლებიც მთიდან მოდიოდნენ ნამუშავრით, წაართვეს 500 მან. და ნალ-ლურსმანი და კვერ-გაზი. კეხვში თორმეტი სული საქონელი საძოვრიდან მოიტაცეს და დაიკარგა, ორი სული ძროხა სიკო ბასიშვილს მოპარეს ქურთაში, გუშინ კეხვის ტყეში და ახოებში მომუშავე გუთნის დედა გ. ნებიერიძე მეხრეებით რვა შეიარაღებულმა ოსმა ტანისამოსი დახადა და ფეხშიშველი საცვლების ამარა რვა კაცი შინ გამოისტუმრა. ასეთი ამბები ხდება ამ ხეობაში, და მრავალი სხვა უბედურება გამომრჩა ამ წერილში, ამ ზაფხულს მარიამობისთვის დამლევს რომ 1200 სული ცხვარი დასტაცეს ქართველებს სამაჩაბლო მთაში, ესეც ხომ მოინელეს მტაცებლებმა, მუქარაც შემოუთვალეს: „მოგცემდით ცხვარს, მაგრამ „სალდათი“ რომ მიეცით თქვენ მთავრობას, ეხლა აღარ მოგცემთო“.

**ა. ლ.**

## თეატრი და მუსიკა

**დისპუტი ქართულ თეატრზე.** ამ მოკლე ხანში გაიმართება დისპუტები ქართულ ხელოვნებაზე. პირველად გაიმართება დისპუტი ქართულ თეატრზე, რომელშიც მონაწილეობენ როგორც მსახიობნი, ისე ლიტერატორნი. სხვათა შორის იქმნება კამათი სეზონის მდგომარეობაზე და მასთან მთავრობის დამოკიდებულებაზედაც.

—

**„ზეპირ გაზეთი“.** პირველ ქრისტეშობისთვეს ჟურნალისტები და ლიტერატორები კონსერვატორიის დარბაზში გაჰმართავენ საღამოს „ზეპირი გაზეთი“ (ასეთ საღამოებს პეტროგრადში ჰმართავდნენ კუპრინი და ამფითეატროვი). საღამოსთვის მოიწვიეს: გრიგოლ რობაქიძე, სერგო გოროდეცკი, ლვოვი, ჩემოდანოვი და სხვანი. ფელეტონის, ლექსების და წერილების განყოფილებაში იქნებიან: ს. გოროდეცკი, ს. ჩემოდანოვი, ს. რაფალოვიჩი, კ. ზელენსკი, ა. კრუჩენინი, ი. ლვოვი, ა. ჩერეპნინი, ევგ. ხონდოვი, პოეტების ცეხი და სხ. წერილის ილიუსტრაციას ცნობილი მსახიობნი შეასრულებენ,

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თბილისის გაზეთებში ცნობა იყო, რომ თბილისის ხაზინის მოხელეები, ესტატე ანდრიას ძე გიუნაშვილი და გიორგი ქევხიშვილი შეიპყრეს ხაზინის მოხელეების მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობის გამოო. ჩვენ მართლაც შეგვიპყრეს სხვებთან ერთად და ისევ გაგვანთავისუფლეს, რადგანაც არავითარი ბრალი არ გვედებოდა. სათანადო მოწმობას, რომ ჩვენ უდანაშაულონი ვართ და ჩვენ წინააღმდეგ არც აღძრულია რაიმე გამოძიებას ვადგენთ რედაქციაში.

**ესტატე გიუნაშვილი და გიორგი ქევხიშვილი.**

## ჩვენი ფოსტა

„საქართველოს“ რედაქცია აცხადებს, რომ უმარკო წერილებს, რომელიც რედაქციის სახელზე მოვა დასახსნელად რედაქცია არ დაიხსნის.

## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |
| **თბილისში მოვა** | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


პირველ ხარისხოვანი რესტორანი

„საქართველო“ ყოფილი „ამირანი“

პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში.

28 გიორგობისთვიდან განახლებულია—საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით ევროპიული და აზიური სამზარეულოთი ⁂ კეთდება საუკეთესო მასალით ყოველგვარი საჭმელები ⁂ განსაკუთრებით **„საცივი ჩახოხბილი ხარჩო და ლომი.**

ფასები წინანდელზე შედარებით დაკლებულია. საუზმე დილის 10—12 საათამდის, სადილი 1—5 ს., ვახშამი ღამის 11 ს., სადილ-ვახშმის დროს

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და თარი.

(5—1894—2)



# ამიერ-კავკასიის ბანკი

## მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

**თანახმად** ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 3,000,000 **მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000 აქციათა მეორე გამოცემით,** თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი საღერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე,** გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი“ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი“ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე,** როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანცი“ები, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება ნამდვილი აქციებით.

**შენიშვნა:** ნამდვილი აქციები იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ექსპედიციაში და **დამზადებული იქნებიან 1918 წლის 1-ლ ნოემბრისათვის.** 10—8



## კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ.. სიფილ... 606—914 ... ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხატრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

**სავათმყოფო**

**სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—14

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

**სამკურნალო**

**ყოველგვარ ავადმყოფთათვის**

**ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩინი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. **ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

**ექიმი**

**ნიკ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

**მედიცინის დოქტორი**

**ბერლინის უნივერსიტეტისა**

**გ. გ. მეგრაბიანცი**

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გ ა ი ხ ს ნ ა**

**თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

**ე ქ ი მ ი**

**მ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

**მოსე ანტონის ძე**

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**ახლად მოწყობილი სტამბა**

**ხელოვნება**

**(ველიამინოვის ქუჩა № 20)**

ღებულობს **ყოველგვარ სასტამბო საქმეებს.** გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

**დაიბეჭდა და იყიდება გიორგი მამრაძის წიგნი:**

**„საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება“**

I „ქართლის ბედის“ უკულმართობა და საქართველოს ტრაღიზმი.

**ფასი 3 მანეთი და 50 კაპეიკი.** 5—4

**იბეჭდება და მალე გამოვა**

**ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი**

**„მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“**

**იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა**

**ალ. ასათიანის ნაწერი**

**მიწის საკითხი საქართველოში**

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში. (10—10)


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.